



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დასავლეთ ევროპული და ამერიკული ლიტერატურის  
დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:  
ამერიკათმცოდნეობა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:  
ჰუმანიტარული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:  
ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ამერიკათმცოდნეობაში

პროგრამის მოცულობა:  
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ვახტანგ ამალღობელი

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: 4-27-05, 893139202  
E-mail: [yamaglobeli@hotmail.com](mailto:yamaglobeli@hotmail.com), [amaghleba@yahoo.com](mailto:amaghleba@yahoo.com)

ქუთაისი  
2008

## 1. სამაგისტრო პროგრამის მიზნები და ამოცანები

ინტერდისციპლინალური სამაგისტრო პროგრამა ამერიკამცოდნეობაში შედგება სამი მოდულისაგან: ისტორია, ლიტერატურა, საზოგადოება და კულტურა. პროგრამაში ჩართული არიან მსოფლიო ისტორიის, დასავლეთეევროპული და ამერიკული ლიტერატურის, არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის, ეკონომიკის, გეოგრაფიის, პედაგოგიკის დეპარტამენტები. პროგრამის მიზანია მაგისტრანტს მისცეს აკადემიური ცოდნა აშშ-ს ეროვნული კულტურის, სახელმწიფოსა და საზოგადოების შესახებ. დღეს, როდესაც ასე ინტენსიურად მიმდინარეობს და ვითარდება მრავალმხრივი პარტნიორული თანამშრომლობა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, აქტუალურ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს ახალგაზრდა, კვალიფიციური ამერიკამცოდნეების აღზრდის საკითხი.

**მოსალოდნელი შედეგი:** პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი სათანადო ცოდნას უნდა ფლობდეს ამერიკელი ხალხის, მათი იდეალების, ღირებულებების, ყოფისა და ქცევის შესახებ. სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს გამოუმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარს და მოამზადებს სპეციალისტებს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის.

## 2. კურსდამთავრებულთა დასაქმება

პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში, სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, საშუალო სკოლებში, დიპლომატიურ სარბიელზე, საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, რადიოსა და ტელევიზიაში, რედაქციებსა და გამომცემლობებში, თარჯიმნებად. ამერიკამცოდნეებზე დღესდღეობით საქართველოში შრომითი ბაზრის მოთხოვნილებაც არსებობს, რადგან ამჟამად ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ ბევრი ქართულ-ამერიკული ერთობლივი თანამშრომლობის პროექტები ხორციელდება.

## 3. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

ა) პროგრამაში ჩართულმა მაგისტრანტმა უნდა შეისწავლოს შემოთავაზებული კურსები და კვალიფიკაციის მოსაპოვებლად დააგროვოს აუცილებელი 120 ECTS კრედიტი. კრედიტების სემესტრული განაწილება: 30-30-30-30 სულ: 120 ECTS კრედიტი

### ბ) მოდულების ჩამონათვალი:

- 1) აშშ-ს ისტორია
- 2) ამერიკული ლიტერატურა
- 3) ამერიკის საზოგადოება და კულტურა

№	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
				სემესტრები			
				I	II	III	IV
1	ამერიკის ეკონომიკა	სავალდებულო	5		5		
2	ამერიკ. ფილოსოფიის ძირ. მიმართ.	სავალდებულო	5		5		
3	პოლიტ. პარტიები და საარჩ. 2სისტემა	სავალდებულო	5			5	
4		სავალდებულო					
5	აშშ ისტორია პირველი კოლონიების შექმნიდან XIX ს-ის ჩათვლით	სავალდებულო	10	5	5		
6	აშშ სოციალურ-პოლიტიკური განვითარება XXს.	სავალდებულო	5			5	
7		სავალდებულო					
8	ამერიკული ლიტ. ძირითადი მიმდინარეობანი და პრობლემური საკითხები	სავალდებულო	6	6			
9	ამერიკული მოდერნისტული რომანის პოეტიკა	სავალდებულო	7	4	3		
10	სემინარი მწერალზე	სავალდებულო	2		2		
12	აშშ ცხოვრების წესი და კულტურა	სავალდებულო	5			5	
13	ამერიკის აბორიგენთა ეთნოგენეზისი და კულტ.	სავალდებულო	5			5	
14	ენა, საზოგადოება, კულტურა	სავალდებულო	5	5			
15	ოჯახური ღირებულებების ცვლილებები აშშ-ში	სავალდებულო	5	5			
17	საკურსო შრომა	სავალდებულო	5		5		
18	სამაგისტრო შრომა	სავალდებულო	30				30
20	პლურალიზმი აშშ-ში	არჩევითი	1			1	
21	მითოსი ანგლო-ამერიკულ მოდერნისტულ ლიტ.	არჩევითი	2			2	
22	აშშ-ს განათლების სისტემა	არჩევითი	5	5			
23	კომპ. ტექნოლ. და ინტერნეტი	არჩევითი	5	5			
24	მე-2 უცხო ენა	არჩევითი	15	5	5	5	
25	რელიგიები ამერიკაში	არჩევითი	5		5		
26	შედარებითი ლიტმცოდნეობა	არჩევითი	5			5	
27	მასმედია აშშ-ში	არჩევითი	5			5	
28	აშშ-ს გეოგრაფია	არჩევითი	5		5		
29	ამერიკული ლიტერატურული კრიტიკა	არჩევითი	2		1	1	
30	განათლების ისტორია	არჩევითი	5	5			
31	განათლების ფსიქოლოგია	არჩევითი	5	5			
32	განათლების პედაგოგიური ტექნოლოგიები	არჩევითი	5		5		
33	საგანმანათლებლო სისტემები	არჩევითი	5		5		
34	პრაქტიკა აშშ საელჩოში, სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტებში	არჩევითი	5			5	

#### 4. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.